შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/07

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2021

საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 29-ე მუხლი მე-17 და 18 პუნქტების, 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანების საფუძველზე სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე გამონაკლის შემთხვევების, ასევე სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე, შენახვაზე და დასაქმებულებისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირის, აგრეთვე შინაგანაწესის 67-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შრომითი პროცესის 24 საათიან უწყვეტ რეჟიმის პირობებში მომუშავე წარმოების თანამშრომელთა ცვლებში მუშაობის განრიგის დამტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანების საფუძველზე შემუშავებული სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის **დანართი 1**-ის სახით.
2. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ადამისნური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებული შრომითი პროცესის 24 საათიან უწყვეტ რეჟიმის პირობებში მომუშავე წარმოების თანამშრომელთა ცვლებში მუშაობის განრიგი **დანართი 2-ის** სახით.
3. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე, შენახვაზე და დასაქმებულებისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირად განისაზღვროს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი- ქეთევან დევდარიანი.
4. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე, შენახვაზე და დასაქმებულებისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა აწარმოოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო დროის აღრიცხვის წესის შესაბამისად.

ბ. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში ინფორმაცია ასახოს ერთჯერადად, ყოველი თვის ბოლოს ან/და პერიოდულად მთელი თვის განმავლობაში.
გ. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვის თარიღად განისაზღვროს მომდევნო თვის კალენდარული თვის 10 რიცხვი.
დ. ცვლაში მომუშავე პირებზე, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა დაურთოს დამტკიცებულ ცვლის განრიგს.
ე. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა დამსაქმებლებს გააცნოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვიდან ორი კვირის ვადაში.
ვ. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, როგორც ყოველთვიური დოკუმენტი, საბოლოო დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი შეინახოს 1 წლის განმავლობაში.

5. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აკადერმიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვა შეუძლებელია სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან მათი სამუშაო საათები გამომდინარეობს სემესტრული დატვირთვიდან და წარმოადგენს არანორმირებულ სამუშაო რეჟიმს.

6. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
7. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.
8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი